პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი
სამშაბათი
15 იანვარი
№ 11 (17656)
ფასი 2 კაპ.

ნომრის ძირითადი თემებია:

მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა უდიდესი ინტერესით და მოწონებით შეხვდა ლ. ი. ბრეჟნევის პასუხს გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე. გვ. 2 და 3.

მრეწველობა: რა გვიჩვენა იანვრის პირველმა დეკადამ — ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა.
მეორე გვერდზე

სოფლის მეურნეობის მინისტრი: ამთავითვე ვიზრუნოთ წლევანდელი უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მიმართვა

საბჭოთა საქართველოს მუშებს, კოლმეურნეებს, სახალხო ინტელიგენციას, ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

დადგა 1980 წელი — მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წელი.

უკან დაგვრჩა იმ დაძაბული მუშაობის ოთხი წელი, რომელსაც ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელი ეწევა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ წინასწარდასახულობათა, ყრილობაზე შემუშავებული საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსის განსახორციელებლად. საბჭოთის შესანიშნავ მიღწევებს არცთუ მცირე წვლილი შემატეს საქართველოს მშრომელებმაც.

თქვენი გარჯის მეოხებით, ძვირფასო ამხანაგებო, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები გასულ წელს გადაჭარბებით შესრულდა. მაგალითად, სამრეწველო წარმოების მოცულობა 1979 წლის მანძილზე 7,2 პროცენტით გაიზარდა, დავალების გადამეტებით გამოშვებულია 113 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია მრეწველობის პროდუქციის მატების 82 პროცენტი, ხარისხისნიშნიანი ნაწარმის რაოდენობამ 2 ათასს გადაამტა, ხოლო მისი ხვედრითი წილი პროდუქციის საერთო მოცულობაში 18 პროცენტს სჭარბობს.

თქვენი თავდადებული შრომის მეოხებით რესპუბლიკის ისტორიაში პირველად დამზადდა 454 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 263 ათასი ტონა ციტრუსი, 577 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, მნიშვნელოვანი წარმატებანია მიღწეული სოფლის მეურნეობის ბევრ წამყვან დარგში, მოპოვებულია გამარჯვება, რომელსაც მაღალი შეფასება მიეცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელ წერილში.

წარმატებით ირჯებიან მეათე ხუთწლედში ჩვენი მშენებლები, რომლებმაც ხუთწლედის დამამთავრებელი წლის წინ გადასცეს საექსპლოატაციოდ სკოლები, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებები, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, საავადმყოფოები, აგრეთვე 6 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, რის შედეგადაც 100 ათასმა ოჯახმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები. მარტო გასულ, 1979 წელს ამოქმედდა უნიკალური ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე აგრეგატი, რუსთავის ქიმიური ქარხნის ახალი სიმძლავრენი, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგი, გაყვანილია რიკოთის უღელტეხილის საავტომობილო გზა, საექსპლოატაციოდ გადაეცა საწარმოო, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მთელი რიგი სხვა ობიექტები.

სწორედ თქვენი გარჯის წყალობაა, რომ განუხრელად მაღლდება ხალხის ცხოვრების დონე, რაც თავის განზოგადებულ გამოხატულებას პოულობს ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის ზრდით, რომელიც ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე გადიდდა 18,3 პროცენტით, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 17,1 პროცენტისა.

ყველა ეს წარმატება მოწმობს მშრომელთა დიდ ენთუზიაზმს, მასების უდიდეს შრომითს და პოლიტიკურ აღმავლობას, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების აქტიურ ორგანიზატორულ მუშაობას.

სწორედ თქვენი შრომითი გამარჯვებები ყველაზე სრულად და მკაფიოდ გამოხატავს ჩვენი თანამედროვის, სოციალისტური სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტის საუკეთესო ნიშან-თვისებებს. და საქართველოს სს რესპუბლიკამ კომუნისტური მშენებლობის საქმეს სწორედ იმის მეოხებით შემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილი, რომ ასე ირჯებოდით თქვენ, მშრომელი ადამიანები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დიდებისა და ავტორიტეტის განუხრელ ამაღლებაში ხედავთ თქვენსა და თქვენი შვილების ბედნიერებას.

დღეს ისტორიის კალენდარზე მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისია. კაცობრიობას დაუდგა საუკუნის ბოლოსწინა ათწლეული. ჩვენი ქვეყნისათვის 1980 წელი — ეს არის მეათე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელიწადიც და მეთერთმეტე ხუთწლედზე გადასვლის უაღრესად პასუხსაგები ეტაპიც, ეს არის ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ზეიმის წელიც და სკკპ XXVI ყრილობისათვის მზადების დაძაბული პერიოდიც. ეს კი ნიშნავს, რომ 1980 წელი ბევრი თვალსაზრისით უჩვეულო წელია, რომელიც აღსავსეა მრავალი თაოსნობითა და მიღწევით, ეს არის თითოეული ჩვენგანისათვის უაღრესად პასუხსაგები ხანა.

და დღეს ძალზე საჭიროა, რომ უკლებლივ ყველამ — რა საქმესაც უნდა ვემსახურებოდეთ — მატერიალურ წარმოებას, მეცნიერებას, განათლებას, კულტურას, რა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი პოსტიც უნდა გვეკავოს, — უკლებლივ ყველამ ჩვენი მოვალეობის საწყაოდ მივიჩნიოთ მოქალაქეობრივი, პოლიტიკური პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე, საზოგადოებისა და ხალხის წინაშე, შევუჯეროთ ჩვენი პირადი დრო ქვეყნის დროებას, შევუსატყვისოთ ჩვენი ჩანაფიქრი და მისწრაფება საერთო-სახალხო ამოცანებს, საერთო-სახელმწიფო მიზნებს.

ხოლო ჩვენი უპირველესი ამოცანა ის გახლავთ, რომ არა მარტო უზრუნველყოთ წლიური გეგმის შესრულება, არამედ წარმატებითაც დავამთავროთ მთელი ხუთწლედი. ამ ამოცანას, რომლის სირთულესაც საგანგებოდ აღვნიშნავთ, მხოლოდ იმ პირობით შევასრულებთ, თუ მაქსიმალურად გავაძლიერებთ წარმოების ტემპს ხუთწლედის წინა წლებთან შედარებით, ინტენსიურად გავაუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს, მზრუნველად და გონივრულად ვხარჯავთ რესურსებს.

აქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა მშრომელს, წარმოების მეთაურს, კომუნისტებს მოგიწოდებთ, მთელი ძალ-ღონე მოახმაროთ ამ ამოცანების გადაწყვეტას, და, ამასთანავე, განსაკუთრებით მიაპყრობს თქვენს ყურადღებას, ამხანაგებო, შემდეგს: რესპუბლიკამ უთუოდ უნდა მიაღწიოს მეათე ხუთწლედის მთავარ მაჩვენებელს, გაზარდოს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 41 პროცენტით, 1980 წელს უნდა უზრუნველყოთ მატება 8,4 პროცენტით, არსებული 6,8 პროცენტი საშუალო წლიური მატების ნაცვლად. დასახული ამოცანა სერიოზული და ძნელია, ვინაიდან მისი გადაწყვეტისათვის უნდა ვაწარმოოთ 150 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, რაც მოითხოვს გამოვავლინოთ მთელი არსებული შინაგანი რეზერვები და მოვახმაროთ ისინი მატერიალური რესურსების, საწარმოო სიმძლავრეების, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენებას, მომარაგების ორგანიზაციას, ტრანსპორტის მუშაობას.

ვითვალისწინებთ რა მრეწველობაში საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულების მწვავე საჭიროებას, აუცილებელია 1980 წელს დავზოგოთ 1979 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით: 23,9 ათასი ტონა შავი ლითონების ნაგლინი, 245 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 290 მეგაკალორია თბოენერგია, 34 ათასი ტონა ავტობენზინი, 10,7 ათასი ტონა დიზელის სათბობი, 88 ათასი კუბური მეტრი ხის მასალა, 40,8 ათასი ტონა ცემენტი.

ამის გამო თითოეულმა საწარმომ, სამშენებლო ორგანიზაციამ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ რესურსების დაზოგვის გათვალისწინებული პარამეტრების მიღწევას. ამიტომ ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ ანყობილად, ზუსტად მუშაობდეს სახალხო მეურნეობის ყველა ქვეგანაყოფი, მისი ყველა რგოლი — საწარმოები და გაერთიანებანი, კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი, ძალ-ღონისა და ენერგიის, ცოდნისა და გამოცდილების სრული უკუგებით ირჯებოდეს თითოეული მუშა, კოლმეურნე, ოსტატი, ბრიგადირი, ტექნიკოსი, ინჟინერი, სამეურნეო ხელმძღვანელი, ყოველი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკი, თითოეული პარტიული ორგანიზაცია, ყოველი შრომითი კოლექტივი.

მოგმართავთ რა თქვენ, გმირი მუშათა კლასის წარმომადგენ ლ ე ბ ს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ შრომის ყველა უბანზე თქვენ წელსაც მაღლა ატარებთ მუშურ სინდისისა და პროფესიული ღირსების დროშას; რომ მატერიალურ ღირებულებათა შექმნისას ყოველი მუშა განიმსჭვალება საქმისადმი მზრუნველი დამოკიდებულებით, არ დაუშვებს მასალისა და ნედლეულის დანაკარგებს, გამოიჩენს მუშურ საზრიანობას, რათა გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი, გაზარდოს მისი საიმედოობა და ხანგამძლეობა, მაქსიმალურად შეამციროს წუნი, აღკვეთოს ისეთი ნაწარმის გამოშვება, რომელიც სახელს უტეხს ჩვენს საწარმოებს; რომ სწორედ მუშათა კოლექტივები გამოვლენ შრომის, საგეგმო, საფინანსო დისციპლინის უფრო მაღალი დონისათვის ახალი მოძრაობის თაოსნებად, საიმედოდ გადაუკეტავენ გზას უყაირათობას და უდისციპლინობას.

თითოეული ხელმძღვანელის, ყოველი კომუნისტის, თითოეული მშრომელის ვალია გამოიჩინოს შეუწყნარებლობა და პრინციპულობა ამგვარი ფაქტებისადმი, ფხიზლად იდგეს საერთო-სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე, იყოს სახალხო დოვლათის შენარჩუნება-გამრავლების მებრძოლი.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მწვავედ დგას შრომითი რესურსების უფრო სრული და რაციონალური გამოყენების პრობლემა. ამ პრობლემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნელს საჭიროა უზრუნველვყოთ შრომის ნაყოფიერების მატება 6,6 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მივიღოთ სამრეწველო წარმოების მატების 83 პროცენტზე მეტი.

ესპუბლიკას ამ მხრივ უდიდესი რეზერვები აქვს. სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ გამოიყენება შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, არ არის საკმარისი საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსური მექანიზაციის დონე. ჯერ კიდევ ხშირია ადამიანთა ცუდი დატვირთვის შემთხვევები, განსაკუთრებით მთელ რიგ სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო ორგანიზაციებში, გამოუყენებელი რჩება დიდძალი თავისუფალი შრომითი რესურსები.

საუკეთესო სახალხო-სამეურნეო შედეგების მიღწევა უდიდესწილად არის დამოკიდებული ჩვენს ტრანსპორტელებზე, მომარაგების, ვაჭრობის სფეროს, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებზე. მათ ფეხი უნდა აუწყონ ჩვენი ეკონომიკის გაზრდილ მოთხოვნებს, უზრუნველყონ მთელი სამეურნეო მექანიზმის რიტმული ფუნქციონირება, შეუქმნან შრომის ფრონტის ადამიანებს კარგი განწყობილება.

მოდით, ამხანაგებო, ერთად ვიზრუნოთ იმისათვის, რომ უკეთ მოვაგვაროთ შრომა ყოველ სამუშაო ადგილზე, საამქროში, საკონსტრუქტორო ბიუროში, მშენებლობაზე, ყანაში თუ ფერმაში.



ეგმართავთ რა თქვენ სასიქადულო მიწათმოქმედებს, ბაღ-ვენახებისა და ყანების, ფერმების მშრომელებს, თქვენ — მიწის ჭეშმარიტ ბატონ-პატრონთ და მადლობას მოგახსენებთ გასული წლის ძნელ პირობებში ჩადენილი გმირობისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სწამს, რომ 1980 წლის ამოცანებს თქვენ, ამხანაგებო, ასევე პირნათლად გაართმევთ თავს, რომ შრომის ეფექტიანობის ზრდა, მთელ სამუშაოთა დროული და უდანაკარგო შესრულება, მაღალი ორგანიზებულობა და მზრუნველი, გულმოდგინე მუშაობა მიწას გახდის კიდევ უფრო მადლიანს მოსავალს — შარაქიანს, ფერმებს — მომგებიანს. დაე, ისევე მგზნებარედ გებრძოლოთ მუქთახორების, მცონარეების, გარესაშოვარს გადაყოლილ სარფისმოყვარულთა წინააღმდეგ, როგორც სიუხვისათვის იბრძვით, დაე, მიწა ეწოდეთ ფეხქვეშ იმათ, ვინც თავისი მომხვეჭელობითა და ანგარებით უხეშად თელავს მას, ვინც არცხვენს მხვნელ-მთესველის საამაყო სახელს. იმედია, თქვენ კვლავაც დაეყრდნობით სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა და მართვაში შეძენილ მნიშვნელოვან დადებითს გამოცდილებას და ყველაფერს იღონებთ, რათა შრომითი რესურსების გამოყენების პრობლემა სოფლად მთლიანად გადაიჭრას, რათა კიდევ უფრო გაფართოვდეს და გაღრმავდეს მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების, კონცენტრაციისა და ინტეგრაციისათვის, რათა ყველა ქვეგანაყოფი ზუსტად და ანყობილად მოქმედებდეს.

ყველა მშრომელის წინაშე დასახული სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის გზები მკაფიოდ არის განსაზღვრული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შესანიშნავი, ღრმაშინაარსიანი სიტყვით, რომელიც კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის მეცადინეობას წარმართავს არსებულ ნაკლოვანებათა შემდგომი დაძლევისათვის, რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

თავისი წვლილი შეაქვს ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში ჩვენს სახალხო ინტელიგენციასაც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგმართავთ თქვენ, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებს, და მოგიწოდებთ კიდევ უფრო მეტად განამტკიცოთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი, გაამდიდროთ თქვენი აღმოჩენებით წარმოების ინტენსიფიკაციის, ბუნებრივი რესურსების დაუფლების გზების პრაქტიკული ძიება, ამრავლოთ სახალხო მეურნეობების შესაძლებლობანი თვისებრივად ახალი მეცნიერულ-ტექნიკური გადაწყვეტებით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ 1980 წელს თქვენ ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ავანგარდში იქნებით, შეიმუშავებთ და დანერგავთ ახალ ტექნიკას და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, შექმნით ყველაზე ხელშემწყობ პირობებს მაღალეფექტიანი მუშაობისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს მხატვრულ ინტელიგენციას და გამოთქვამს იმედს, რომ თავიანთი ნაწარმოებებით ჩვენი მწერლები, თეატრისა და კინოს მოღვაწენი, შემოქმედებითი ინტელიგენციის ყველა რაზმის წარმომადგენლები, ისევე როგორც წინა წლებში, კვლავ დაკავებენ თავიანთ პოზიციებს ხუთწლედის მოწინავე მიჯნაზე, მკაფიოდ და ღრმად ასახავენ სადაგი დღეების შრომითს ჰეროიკას, კონკრეტული ცხოვრებისეული მასალით გვიჩვენებენ საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მაგალითებს, შთააგონებენ ჩვენს მშრომელებს ახალ მიღწევებს, ხელოვნების ძალის მეშვეობით კვლავაც სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ ყოველივეს, რაც ხელს გვიშლის ცხოვრებასა და მუშაობაში.

ომუნიზმის მშენებ ლ ე ბ ს დღითი დღე ემატება საუკეთესო რევოლუციური, საბრძოლო, შრომითი ტრადიციებით აღზრდილი ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა. როგორნი მივლენ ხვალ ქალიშვილები და ჭაბუკები სამეცნიერო ლაბორატორიებში, დაზგებთან, ტრაქტორის საჭესთან, ან როგორ აიღებენ კალამს, როგორ ავლენ კათედრებზე — ამას დღევანდელი დღე წყვეტს. ამიტომ დღეს, მივმართავთ რა ჩვენს ახალგაზრდობას, იმათ, ვინც ჯერ კიდევ სკოლის მერხს უზის, ვინც პროფესიას ეუფლება საწარმოო-ტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, ან უმაღლეს განათლებას იღებს, მივმართავთ ჩვენს ღირსეულ ცვლას, იმათ, ვინც უნდა გამოსჭედოს მომავალი ხუთწლედების ლითონი, ხორცი შეასხას საზოგადოებისა და სახელმწიფოს ხვალინდელ გეგმებს, მოგმართავთ თქვენ, საქართველოს ორდენოსანი კომკავშირის წარმომადგენლებს იმის ღრმა რწმენით, რომ თქვენ, ისევე როგორც თქვენი მამა-პაპანი, შეიგნებთ ჩვენი გეგმების გრანდიოზულობას, განიმსჭვალებით მათი სიდიადით, შეუჯერებთ მათ თქვენს ცოდნას, თქვენს მზადყოფნას, თქვენს სახელს, რომელსაც, იმედი გვაქვს, არასოდეს გაიტეხთ. მაშ იყავით მუდამ მტკიცენი და შეურიგებელნი არაგულწრფელობის, ფორმალიზმის, გულგრილობის, ნიჰილიზმის, სხვისი მოიმედოობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი, იბრძოლეთ იმისათვის, რომ ყოველი თქვენგანი ყოფილიყოს თავისი დიადი სამშობლოს პატრიოტისა და მოქალაქის მაღალი ნოდების ღირსი!

მაღალი მიზნები, დიდმნიშვნელოვანი ამოცანები განსაზღვრავს ახალ ეტაპზე ორგანიზატორულ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მუშაობასაც.

შრომითი კოლექტივების ბირთვმა — პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ გავლენა საწარმო-დაწესებულებათა საქმიანობის ყველა მხარეზე, ნიადაგ იზრუნონ ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის, ერთსულოვანი მუშაობისა და შემოქმედებითი ძიების ატმოსფეროს შექმნისათვის.

საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ პარტიულმა ორგანოებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა გააძლიერონ პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმება და ორგანიზაცია, დაამკვიდრონ ხელმძღვანელობის ლენინური სტილი, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და კადრების აღზრდის ქმედითი საშუალება.

უდიდესი მამოძრავებელი ძალა აქ სოციალისტური შეჯიბრებაა. პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობაა იღვაწონ, რათა კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება, გაუმჯობესდეს მისი ორგანიზაცია და ქმედითობა.

მთელი ჩვენი გამოცდილება, ამხანაგები, მოწმობს, რომ, რაც უფრო მაღლდება შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის დონე, შეგნებული დისციპლინა, რაც უფრო ძლიერდება თითოეული საბჭოთა ადამიანის იდეური მრწამსი, მით უფრო მეტ წარმატებებს ვაღწევთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. აი რატომ არის, რომ სოციალისტური წარმოების ყველა უბანზე მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლას პარტია ყველაზე მჭიდროდ უკავშირებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სრულყოფას.

1980 წლის გეგმებისა და მაღალი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენ უნდა ჩავაბაროთ კიდევ ერთი გაბმიდა — იდეური და პოლიტიკური სიმწიფის გამოცდა. ვითარება მოითხოვს, რომ თითოეული მუშა, ყოველი კოლმეურნე, ინტელიგენციის თითოეული წარმომადგენელი, ყოველი მოქალაქე გახდეს პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის შეგნებული მებრძოლი, სრულად გამოიჩინოს მთელი თავისი უნარი, თაოსნობა, ჩააქსოვოს სული და გული ამ საერთო-სახალხო საქმეს.

საქართველოს მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იწონებენ კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ, მიზანდასახულ მოღვაწეობას, გადაწყვეტილი აქვთ ერთხელ კიდევ დაამტკიცონ, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია. ამის საწინდარია მათი ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებისადმი.

უთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმები, ჩვენ ფრიად რთული და დაძაბული გვაქვს. მაგრამ ისინი ემყარება რეალურ გაანგარიშებებს, მოთხოვნილებების, რესურსებისა და შესაძლებლობების ზუსტ გათვალისწინებას. ახლა კი ჩვენ უნდა ვიმარჯვოთ, ყველას ფართო ასპარეზი გვაქვს მონიჭებული საიმისოდ, რომ საქმით ვუპასუხოთ პარტიის ზრუნვას მშრომელი კაცისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ამთავრებენ მეათე ხუთწლედს და მტკიცე საფუძველს უქმნიან მომავალ ხუთწლეულებს, მაღალ ორგანიზებულობასა და შეკავშირებას გამოიჩენენ და მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და უნარს მოახმარენ ახალ შესანიშნავ გამარჯვებათა მიღწევას კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მტკიცე საფუძველი შევუქმნათ მომავალ ხუთწლეულებს!

მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წელს – ამთავითვე დამკვრელური ტემპი!

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

პირველი დეკადა: რა გვიჩვენა?

◆ არა აქვთ მატერიალური რესურსების მარაგი ◆ დაბალია ზრომის ნაყოფიერება ◆ არ სრულდება სახელშეკრულებო დისციპლინა

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ჩვენი რესპუბლიკის ყველა სამრეწველო საწარმოს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციის კოლექტივები. ასეთასთან ერთად ბრძოლის ხუთწლედის დამამთავრებელი, დამკვრელური წლის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად, მაღალი ეფექტიანობისა და სამუშაოთა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

წლის პირველი დღეები და თვე განსაკუთრებით პასუხსაგები ეტაპია თითეული საწარმოსათვის. ცნობილია, რომ სწორედ წლის დასაწყისიდან აღებული სწრაფი ტემპი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შემდგომ წარმატებებს. ამაზე მიგვითითა რესპუბლიკის 1979 წლის დეკემბრის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამაც. აქტივზე აღინიშნა, რომ მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებული სამრეწველო წარმოების მოცულობის 41 პროცენტით ზრდის უზრუნველსაყოფად წლის უნდა მივაღწიოთ პროდუქციის მატებას 690 მილიონ მანეთამდე.

აქტივის კრებაზე საგანგებოდ ითქვა, რომ არამც და არამც არ უნდა განმეორდეს ის, რაც მოხდა შარშან პირველ კვარტალში, განსაკუთრებით იანვარში, როცა მნიშვნელოვნად გაუარესდა მთელი რიგ საწარმოთა წარმოების ზრდის ტემპის მაჩვენებელი.

დამთავრდა მიმდინარე წლის იანვრის პირველი დეკადა. გაზეთ „კომუნისტის“ redაქცია დაინტერესდა რესპუბლიკის მთელი რიგი გაერთიანებების, ქარხნების, ფაბრიკების, სამშენებლო ორგანიზაციების კოლექტივების მუშაობის შედეგებით ამ პირველ ათდღიურში.

12,6 პროცენტი! — ასეთია წარმოების მოცულობის ზრდის ტემპი იანვრის პირველ დეკადაში შარშანდელ შესაბამის პეროდთან შედარებით საწარმოო გაერთიანება „საქნავთობში“. გაერთიანების წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ლენინის ნავთობგაზმომპოვებელ ოლამ ნავთობგაზმომპოვებელ ოლ ... სამმართველოს სამგორის საპროდუქცია. ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ გაერთიანების ყველა მაღაროს, ქარხნის, ფაბრიკის კოლექტივები. შრომითის მეტოდიმბას სათავეში ჩაუდგნენ რაჭის სამთომოპოვებითი და თბილისის სარემონტო მექანიკური ქარხნების, მახარაძის და „ქუთაისბარიტის“ მაღაროსამმართველოების კოლექტივები.

მაღალორგანიზებულად შრომობს თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვის“ კოლექტივი. წლევანდელი წლის სტარტი მტკიცე ეკონომიკურ საფუძველს ეყრდნობა. წლის პირველ ათ დღეში სადღეღამისო წარმოება ზუსტად შეესაბამება დაგეგმილს. სასიხარულოა, რომ რაოდენობრივ ზრდას ახლავს ხარისხობრივი სრულყოფაც. ამჟამად აქ სახელმწიფო ხარისხის ნიშნით აღნიშნული პროდუქციის ხვედრითი წონა წარმოების საერთო მოცულობაში 54,5 პროცენტს შეადგენს, შარშან კი წლის დამდეგს ეს მაჩვენებელი 2 პროცენტს არ აღემატებოდა.

იანვრის თვეში დაეგეგმილი წარმოების ზრდის ტემპი არათუ ეტოლდება, სჭარბობს კიდეც წლის საშუალო დონეს თბილისის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში, 42 პროცენტი მთელი პროდუქციისა აქ ხარისხის ნიშნით გამოდის.

ვერ მოუმატა „სიჩქარეს“ იანვრის პირველ დეკადაში ქუთაისის ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა, წარმოების მოცულობის ზრდის ტემპის დონე იანვრის პირველ დეკადაში ისევე დაბალია, როგორც შარშანდელ შესაბამის პეროდში.

მიზეზი? შეფერხებაა მასალებით, კერძოდ ლაქ-საღებავებით მომარაგების საქმეში.

საგანგაშო მდგომარეობა შექმნა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ მეთაური ქარხანაში, სსრ კავშირის გზათა სამინისტროს საქარხნო ინსპექციის ხელმძღვანელმა გ. ჩიტიაშვილმა სიხანელი გამოთქვა იმის გამო, რომ იანვრის პირველ ათდღიურში საწარმოს საამწყობო საამქროდან არც ერთი ელმავალი არ გამოსულა, ამ ხნის განმავლობაში კი გეგმით ოთხი ლოკომოტივი უნდა დაემზადებინათ!

წლის პირველ ათდღიურში ძალზე ცუდად იმუშავეს, ზესტაფონელმა მეკავშირეებმაც წარმოებულია 270 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც გეგმის 79,5 პროცენტს შეადგენს. წარმოების მეცნიერებს თავის მართლების არავითარი ობიექტური მიზეზები არ გააჩნიათ. ათ დღეში დანადგარების მექანიკური დაზიანების შედეგად კაცსაათი, ელექტროდაზიანების შედეგად — 153, მუშის, გამოუცხადებლობის გამო — 1536, სხვადასხვა მიზეზით — 50 კაცსაათი. მთელმა გაცდენილმა დრომ 2.027 კაცსაათი შეადგინა, რაც ქარხნის სამი დღით მოცდენას უდრის.

710 ათასი მანეთით ნაკლები ღირებულების პროდუქცია გამოუშვა იანვრის პირველ დეკადაში ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა. როგორც საწარმოს ხელმძღვანელობამ შეგვატყობინა, ეს რკინიგზის ტრანსპორტის გაუმართავი მუშაობის შედეგია. რკინიგზელებს განვლილ ათდღიურში არც ერთხელ დროზე არ მოუწოდებიათ ქარხნისათვის ნედლეული. ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობა იყო აქ შარშანდელი იანვრის პირველ დეკადაშიც და წლის ბოლო კვარტალშიც. ნავთობპროდუქტების გამოშვების ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმა ქარხანამ 98,5 პროცენტით შეასრულა.

სამწუხაროდ, ვერც ბათუმის მეორე დიდ საწარმოს — მანქანათსაშენებელი ქარხნის კოლექტივს გავუხარიბებართ. იანვრის პირველი დეკადის პროდუქციის გამოშვების გეგმა 70,4 პროცენტით, ხოლო რეალიზაციისა 28,9 პროცენტით შესრულდა. აქაც რკინიგზელებს ადანაშაულებენ. ათ დღეში ქარხანას გეგმით გათვალისწინებული 70 ვაგონის ნაცვლად 24 ვაგონი მიუღია. ამის გამო მომხმარებელს ვერ გეგზავნა ჩაის ფაბრიკების მოწყობილობა. საწარმოს ეზოში დღეს ნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია ელოდება ვაგონებს. მეორე არასასიამოვნო ფაქტი ისიც, რომ პირველ დეკადაში საწარმოს პროდუქციის გამოსაშვებად არც ერთი გრამი ლითონი არ მიუღია.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, სერიოზული ნაკლოვანებებიც ბევრია. ყველაზე დამფიქრებელია, ის რომ ჩამორჩენილთა შორის რესპუბლიკის უმსხვილესი საწარმოები არიან, სწორედ ის საწარმოები, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ ძირითადად რესპუბლიკის მრეწველობის წარმატება.

წელი ახლა დაიწყო. მდგომარეობის გამოსასწორებლად კიდევ არის დრო. საწარმოთა ხელმძღვანელობამ, მათმა კოლექტივებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა გადალახონ დაბრკოლებები და ჩაებნენ სტაბილური შრომის ფერხეულში.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

იუბილეს — თავდადებული შრომა

გაიმართა თბილისის ლენინის რაიონის იდეოლოგიურ მუშაკთა აქტივის კრება, რომელმაც განიხილა საკითხი ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრის ამოცანების შესახებ.

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ანჩაბაძემ, რომელმაც გახსნა კრება, აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი პროგრესის, სოციალისტური ეკონომიკის მიღწევები შესაძლებელი გახდა ვ. ი. ლენინის იდეების პრაქტიკული განხორციელების, პარტიისა და ხალხის ერთიანობის შედეგად. საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესული კაცობრიობა შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში ემზადებიან აღნიშნონ კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის დაბადების 110-ე წლისთავი. იდეოლოგიურ მუშაკთა ვალია წარმართონ ეს აქტიურობა 1980 გეგმებისა და საერთოდ მთელი ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის. მასებთან თავიანთი მუშაობა მათ უნდა შეუხამონ შრომითი კოლექტივების სამეურნეო საქმიანობას იმ მიზნით, რომ განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებები და დასკვნები.

მოხსენება — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ“ ჩვენი საზოგადოების, სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის განვითარების [illegible] — [illegible] ისტორიის მეცნიერებათა [illegible] ნ. [illegible]ემ.

კრებაზე [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიაში

14 იანვარს თბილისში, შრომის სასახლეში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე შ. ჯოხაძე.

კომისიის წევრებმა მოისმინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის ს. ხაბეიშვილის ინფორმაცია სამხედრო ნაწილებში საარჩევნო უბნების შექმნის წესისა და საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შესახებ.

ინფორმაცია ამომრჩეველთა კულტურული მომსახურების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ გაეცნო საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა.

ზესტაფონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. ფერაძემ მოახსენა კომისიის წევრებს, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება რაიონში მიმდინარეობს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად, რომ სათანადო ვადებში შეიქმნა საარჩევნო უბნები, რომლებიც უკვე აღჭურვეს და მოამარაგეს საჭირო ლიტერატურით. ახლა მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების შედგენა.

ანალოგიური ინფორმაცია გააკეთა ქარელის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქ. სამნიაშვილმა.

სხდომაზე გამოვიდნენ ქალაქ ჭიათურის № 243 ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ნ. გოგოსვანიძე, სოღნაღის რაიონის № 204 სოღნაღის საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გ. გელაშვილი და დმანისის რაიონის № 150 გომარეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. მუჯირიშვილი. მათ ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მათს საარჩევნო ოლქებში.

განხილული საკითხების თაობაზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომაზე დაამტკიცეს კომისიის წევრთა მორიგების გრაფიკი. ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ შ. ჯოხაძემ. (საქინფორმი).

ნდობა და დაფასება

მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

თბილისი. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოწინავე მჭედელი **ცირა გიორგის ასული გაფრინდაშვილი** ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის № 45 ჯანაშიას საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა ამ საწარმოს მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების საერთო კრებამ.

თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელმავალმშენებლის“ კოლექტივის საარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 12 ანაპის 414-ე დივიზიის საარჩევნო ოლქში დასახელა გაერთიანების გენერალური დირექტორი **ზურაბ დავითის ძე ჩივაძე.**

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სატვირთო სადგურის კოლექტივმა თავის საერთო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის № 13 კიბიბშვილის საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი სოციალისტური შრომის გმირი **იოსებ გრიგოლის ძე ხაზარაძე.**

„ტუ-134“ ხომალდის მეთაური **დემურ პავლეს ძე ლელაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ქალაქ თბილისის საქარხნო რაიონის № 83 კოსმონავტთა საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სამოქალაქო საავიაციის სამმართველოს თბილისის საავიასაწარმოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისა და სტუდენტთა საერთო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის № 57 გორამიშვილის საარჩევნო ოლქში დასახელონ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პირველი მდივანი **ნათელა ილიას ასული ლაფიძე.**

ქუთაისი. ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა თავიანთ საარჩევნო კრებაზე დაადგინეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის № 261 ჭავჭავაძის საარჩევნო ოლქში დასახელონ ამ საწარმოს მოწინავე მუშა **გივი ნიკოლოზის ძე გურეშიძე.**

ბათუმი. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივის საარჩევნო კრებაზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ ბათუმის № 408 ფრუნზეს საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნუგზარ აკაკის ძე ფოფხაძე.**

რუსთავი. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქიმიკოსი-ანალიზატორი საამქროს საარჩევნო კრების მონაწილეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რუსთავის № 179 ოქტომბრის საარჩევნო ოლქში დასახელეს ამიერკავკასიის წყალსაცავების დროშოვანი სამხედრო ოლქის ავიაციის სარდალი, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი **გენადი ივანეს ძე ფედერიაკოვი.**

გორი. თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი **ნათელა შალვას ასული ვახაძე** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ გორის № 117 ძნელაძის საარჩევნო ოლქში დასახელა გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების კოლექტივის საარჩევნო კრებამ.

ბოლნისი. არუხლოს მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეების საარჩევნო კრებამ ბოლნისის რაიონის № 166 არუხლოს საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელა საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა **ურუ იღრის ყზი იახიევა.** (საქინფორმი).

სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნების შესახვედრად

1980 წლის 24 თებერვალს გაიმართება მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართო სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა გაშალეს შრომითს კოლექტივებსა და მოსახლეობაში. ამ მუშაობას საფუძვლად უდევს სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის ღრმა ახსნა-განმარტება, მშრომელთა შემოქმედებითი ძალების მობილიზაცია ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, 1980 წლის გეგმის, მთლიანად ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის.

ერთიანი პოლიტდღეების ორგანიზატორების, მომხსენებლების, ლექტორების, პოლიტინფორმატორებისა და აგიტატორების დასახმარებლად ვაქვეყნებთ გამოსვლების სანიმუშო თემატიკას.

ვ. ი. ლენინი სოციალისტური დემოკრატიის შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მთელი ხალხის ავანგარდია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ჩვენი საბრძოლო პროგრამაა.

სსრ კავშირი სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფოა.

ხალხის კეთილდღეობა პარტიის პოლიტიკის უზენაესი მიზანია.

სახელმწიფო მასების შეგნებით არის ძლიერი.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვება.

საბჭოთა ადამიანი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონია.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება კანონზომიერი ეტაპია კომუნიზმის გზაზე.

მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი.

საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიზმი.

სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველია.

სსრ კავშირის კონსტიტუცია სახალხო ხელისუფლების ლენინური პრინციპების განსახიერებაა.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ცოცხლობს, მოქმედებს, მუშაობს.

კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკი.

სოციალისტური ცხოვრების წესი სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია.

საბჭოთა საზოგადოება რეალური დემოკრატიისა და ნამდვილი თავისუფლების საზოგადოებაა.

სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების ერთიანობა.

სოციალისტური სამშობლოს ძლიერება და აყვავება საბჭოთა ადამიანების უფლებათა მთავარი გარანტიაა.

პატრიოტიზმი — ჩვენს საქმეებსა და ქცევაში.

შრომითი კოლექტივების როლი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებაში.

კოლექტივის ღირსება ჩვენი ღირსებაა.

თითოეულისაგან — უნარის მიხედვით, თითოეულს — შრომის მიხედვით.

თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა.

საამაყო წოდებაა — საბჭოთა კავშირის მოქალაქე.

საბჭოთა ქალები საზოგადოების ტეშმარიტად თავისუფალი და თანასწორუფლებიანი წევრები არიან.

საბჭოთა პროფკავშირები კომუნიზმის სკოლაა.

ახალგაზრდებმა უნდა აშენონ კომუნიზმი.

ჩვენი დეპუტატობის კანდიდატები.

დეპუტატი ხალხის სრულუფლებიანი წარმომადგენელია.

დეპუტატი მასების ორგანიზატორი და აღმზრდელია.

ჩვენი ქალაქი (რაიონი, დაბა) არჩევნებიდან არჩევნებამდე.

ამომრჩეველთა განაწესები: როგორ სრულდება ისინი.

მსოფლიო სოციალიზმი თანამედროვეობის მთავარი რევოლუციური ძალაა.

საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალიზმი.

ორი სამყარო — ორი დემოკრატია.

„კაპიტალიზმი უმომავლო საზოგადოებაა.

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საიმედო გუშაგი, საყოველთაო მშვიდობის ბურჯია.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია.

საბჭოთა კავშირი მშვიდობის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლაში — არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენ გვერდით.

გადავაქციოთ 1980 წელი დამკვრელური ლენინური მუშაობის წლად!

ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად.

აღვნიშნოთ არჩევნები შრომაში, სწავლასა და შემოქმედებაში ახალი მიღწევებით.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს — ღირსეული შეხვედრა!

საპატიო ლენინური სიგელი ხუთწლედის გვარდიელთა მაღალი ჯილდოა.

მეათე ხუთწლედს — დამკვრელური ფინიში!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

«პარტიული სიტყვა» № 1

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ მიმდინარე წლის პირველი ნომერი.

ჟურნალი იხსნება მოწინავე წერილით — „დამკვრელური ლენინური მუშაობის წლის ამოცანებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა“. აქვეა გამოქვეყნებული სარედაქციო წერილი — „არჩევნების შესახვედრად“. რუბრიკით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — „ცხოვრებაში — დაბეჭდილია ლენინგორის რაიონის სოფელ დადიანეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ავიტკოლექტივის ხელმძღვანელის რ. ბერიანიძის წერილი „მომავალი გამარჯვებების სიტყვითა და საქმით განმტკიცებაზე ფიქრით“.

გარდა ამისა, ჟურნალის ამ ნომერში დაბეჭდილია: კონსულტაცია — „ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ჩვენი საბრძოლო პროგრამა; სანიმუშო თემატიკა ლექციების, მოხსენებებისა და საუბრებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგების, ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალების მიხედვით; აქვეა განყოფილება — „ჩვენი ქვეყანა 1980 წელს“. რუბრიკით — „სამეურნეო მექანიზმის სიახლენი — ცხოვრებაში“ — დაბეჭდილია ალ. ჯინჯოლავას წერილი — ერთი საწარმოს წინსვლის რეზერვები.

ჟურნალის ამ ნომერში მკითხველი გაეცნობა აგრეთვე იდეურ ბევრ სხვა საინტერესო მასალას.

საერთაშორისო ცხოვრება
ტელეფოტოს ჭურჭელზე

მსოფლიოს მთელი ყურადღება

უცხოეთის საagენტოები, პრესა, რადიო და ტელევიზია „პრავდ ის“ კორესპონდენტის კითხვებზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პასუხის გამო

ბერლინი. გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხს ფართოდ განმარტავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ადნის საინფორმაციო სააგენტო, რადიო და ტელევიზია.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნულია კომენტარებში, ამერიკის ადმინისტრაციის მოქმედებას მიიჩნევს ცუდად აწონ-დაწონილ ცდად გამოიყენოს ავღანეთის ამბები იმისათვის, რომ მოახდინოს საერთაშორისო ღონისძიებების ბლოკირება სამხედრო საშიშროების შემცირების, მშვიდობის განმტკიცების, გამალებული შეიარაღების შეზღუდვისათვის, — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოახდინოს იმის ბლოკირება, რითაც ასე ძლიერ არის დაინტერესებული მთელი კაცობრიობა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი საგანგებოდ გამოყოფენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კონტინგენტების წინაშე დასახული ერთადერთი ამოცანაა ხელი შეუწყონ ავღანელებს გარედან აგრესიის მოგერიებაში. მათ ავღანეთიდან მოლნიანად გამოვიყვანთ, როგორც კი მოისპობა მიზეზი, რამაც ავღანეთის ხელმძღვანელობა აიძულა ეთხოვა მათი შემოყვანა.

აგრეთვე ყურადღება დაეთმო ლ. ი. ბრეჟნევის განცხადებას იმის შესახებ, რომ მტკიცებანი, თითქოს საბჭოთა კავშირს რაიმე ექსპანსიონისტური გეგმები აქვს პაკისტანის, ირანისა თუ ამ რეგიონის სხვა ქვეყნების მიმართ, აბსოლუტური სიცრუეა.

პარიზი. აღნიშვნით „სასწრაფო“ საფრანგეთის ფრანს პრესის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა ცნობა გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხის შესახებ.

ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, აღნიშნავს ფრანს პრესის სააგენტო, რომ საბჭოთა კონტინგენტების წინაშე დგას ერთადერთი ამოცანა — ხელი შეუწყონ ავღანელებს გარედან აგრესიის მოგერიებაში. ისინი ავღანეთს დატოვებენ, როგორც კი ამმოიფხვრება მიზეზები, რომლებმაც ავღანეთის მთავრობა აიძულა ეთხოვა მათი შემოყვანა, გამოაყოფს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს ფრანს პრესის სააგენტო.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ არავითარი საბჭოთა „ინტერვენცია“ თუ „აგრესია“ ავღანეთში არ ყოფილა და არ არის. საბჭოთა კავშირი ახალ ავღანეთს ეხმარება მისი მთავრობის თხოვნით დაიცვას თავისი ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ღირსება გარედან შეიარაღებული აგრესიული მოქმედებისაგან, ხაზი გაუსვა საფრანგეთის ტელევიზიის კომენტატორმა.

ბონი. დასავლეთ გერმანიის დპა და დდპ სააგენტოებმა გადასცეს გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხის ძირითადი დებულებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ვითარების შესამჩნევი გართულებისათვის ბრალი ედებათ იმპერიალისტურ ძალებს, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების გარკვეულ წრეებს, ნათქვამი იყო დდპ სააგენტოს მიერ. მოსკოვიდან გადმოცემულ პირველ დეპეშაში. მან მწვავედ გააკრიტიკა ისინი, ვისაც ძალადობის შენელება მიაჩნია თავისი აგრესიული ზრახვების, მილიტარისტული ფსიქოზის გაღვივების, სხვა ხალხთა საშინაო საქმეებში ჩარევისათვის ნიღაბ-ჯოლებად.

შეეხო რა ევროპის მდგომარეობას, საბჭოთა ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა განაგრძონ დაძაბულობის შენელება და განიარაღების ღონისძიებანი.

ვაშინგტონი. აღნიშვნით „სასწრაფო“ ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებმა გადასცეს ცნობები გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხის შესახებ.

საბჭოთა პრეზიდენტმა დაგმო „უცხეცი ანტისაბჭოური კამპანია“, რომელიც დასავლეთში დაიწყო ავღანეთის ამბებთან დაკავშირებით, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო საგანგებოდ გამოყოფს ლ. ი. ბრეჟნევის იმ სიტყვებს, რომ გადაწყვეტილება საბჭოთა სამხედრო კონტინგენტების გაგზავნის შესახებ „უბრალო გადაწყვეტილება“ როდი იყო. მაგრამ, წერს სააგენტო, სხვანაირად მოქცევა ნიშნავდა ავღანეთი დაეჯიჯგნა იმპერიალიზმს, აგრესიულ ძალებს აქ გაემეორებინთ ის, რაც, მაგალითად, გააკეთეს ჩილეში. სადაც ხალხის თავისუფლება სისხლში ჩაახშეს“. სააგენტოები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელმა დაგმო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის ადმინისტრაციის ეკონომიკური ღონისძიებანი და ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური კურსი ურყევია.

გავრცელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გავრცელდა გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის პასუხის ტექსტი.

ბინძური ნამუშევარი

ამერიკის სპეცსამსახურების მორიგი ნაყალბევი

დასავლეთის დეპეშათა სააგენტოებმა გაავრცელეს, ხოლო ირანის დეპეშათა სააგენტომ, საგანგებოდ, აიტაცა ნაყალბევი, რომელშიც საბჭოთა კავშირის ოფიციალურ წარმომადგენელს ლათინური ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში აბრალებენ რაღაც მტრულ გამონათქვამებს ირანის მიმართ.

ამ ნაყალბევის სადაურობის დადგენა არ არის ძნელი — იგი ამერიკის სპეცსამსახურების საქმიანობის პროდუქტია. მომენტიც მარჯვედ შეარჩიეს: ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას სწორედ იმ დროს, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში საბჭოთის პოზიციის შედეგად შეერთებულმა შტატებმა საბჭოს ვერ მიაღებინა რეზოლუცია ირანის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენებაზე შესახებ.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ირანის ხელმძღვანელი მოღვაწენი მიხვდებიან, თუ რა მიზანი ამოძრავებთ იმათ, ვინც ამგვარ ნაყალბევს თითხნის და ავრცელებს, და პროვოკაციებს არ აჰყვებიან. (სკკპ).

ავღანელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი, 14 იანვარი. გაზეთმა „დეილი უორლდმა“ გამოაქვეყნა თავისი ქაბულელი კორესპონდენტის რეპორტაჟი. იგი, კერძოდ, წერს: „ავღანელმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა იმასთან დაკავშირებით, რომ პარსახლიანი დიქტატორის ამინისა და მისი დამჭაშების ბატონობის შავბნელი დღეები სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. უკლებლივ ყველა, ვისაც კი ვესაუბრე, მადლიერებით იხსენიებს საბჭოთა კავშირის დროულ დახმარებას, რომელიც ავღანეთს აღმოუჩინა მისიები თხოვნით. ისინი გამოთქვამენ რწმენას, რომ ავღანეთი მალე განთავისუფლდება მის საზღვრებს მომდგარი და ქვეყანაში შემოპარული მტრული ძალების მუქარისაგან. ადამიანები, რომელთაც შევხვდი, მხარს უჭერენ ახლადდგ მთავრობას ბაბრაქ ქარმალის მეთაურობით. მკაფიო შთაბეჭდილება შემექმნა, რომ დღევანდელ ავღანეთში ნამდვილი თავისუფლება და დემოკრატია სუფევს და იგი ოპტიმიზმით შეჰყურებს მომავალს. ავღანელ ხალხს ერთი რამ სურს — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩინეთმა შეწყვიტონ მის წინააღმდეგ შეთქმულებათა ქსელის გაბმა და პაკისტანის ტერიტორიის გამოყენება შემოჭრისათვის მოსამზადებლად“.

ბეირუთი, 12 იანვარი (სკკდესი). ქაბულში ახლა გარდაქმნების პერიოდი დგას. ავღანეთის დედაქალაქისა და სხვა ქალაქების მცხოვრებნი ცხადყოფენ მტკიცე გადაწყვეტილებას დაიცვან აპრილის რევოლუციის მონაპოვრები შინაური კონტრრევოლუციისა და უცხოელი მტრების ხრიკებისა და ჩარევისაგან, წერს ქაბულიდან ლიბანის გაზეთ „ან-ნიდას“ კორესპონდენტი. აქ თვალნათლივ ვრწმუნდებით, რაოდენ გულწრფელი გრძნობით არის გამსჭვალული ხალხი ქვეყნის კანონიერ ხელისუფალთადმი, რაოდენ მტკიცედ უჭერს მხარს იგი ახალ ხელმძღვანელობასა და მის კურსს.

ეს ბოლო ხანებია აშკარად ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხელმძღვანელი წრეები დაადგნენ დაძაბულობის შენელების საქმისადმი მტრულ კურსს, გამალებული შეიარაღების გაძლიერების კურსს, რასაც შედეგად მოსდევს ომის საფრთხის გაძლიერება. ამას დასაბამი მიეცა ჯერ კიდევ 1978 წელს, ნატოს საბჭოს მაისის სესიაზე ვაშინგტონში, სადაც დაამტკიცეს ამ ბლოკის წევრი ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტების ავტომატური ზრდა XX საუკუნის ბოლოამდე.

ლ. ი. ბრეჟნევი.



ხალხის ნების წინააღმდეგ

ნატოს სამხედრო ბლოკი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, ხალხის ნების წინააღმდეგ, დღენიადაგ აძლიერებს შეიარაღებას, განამტკიცებს და აფართოებს თავის სამხედრო ბაზების ქსელს, ახორციელებს მრავალრიცხოვან სამხედრო მანევრებს, ამზადებს ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე ადამიანთა მასობრივი მოსპობის ახალი სახეობის იარაღის წარმოებისა და განლაგების გეგმებს.

ამ საშიში სამხედრო ღონისძიებების განხორციელებისათვის კოლოსალური სახსრები იხარჯება. ამას ნათლად ადასტურებს ადნის საagენტოს ფოტოსამსახურის მიერ გავრცელებული დიაგრამა, რომლიდანაც ჩანს, რომ ამუამად აგრესიული მიზნებისათვის ალიანსი ხარჯავს 200 მილიარდ დოლარს, ანუ თითქმის ათჯერ მეტს, ვიდრე 1950 წელს. სულ კი ნატომ თავისი არსებობის 30 წლის განმავლობაში სამხედრო საჭიროებებისათვის დახარჯა ასტრონომიული თანხა, — თითქმის სამი ტრილიონი დოლარი.

ამავე დროს დასავლეთის სამხედრო მონოპოლიები საარაკოდ მდიდრდებიან გამალებული შეიარაღების ხარჯზე, როცა ნატოს წევრი ქვეყნების არმიებისათვის აწარმოებენ სულ ახალი და ახალი სახეობის საომარ საშუალებებს.

სურათზე: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის — „კრაუს-მაფეის“ მიუნხენის ფირმის ფლაკის კონცერნში შემავალი ქარხნები.

საკლესინი ფოტოქრონიკა

მკვეთყობინებენ
საკლესისა და
ახალი ომგეგის
საკომენტოს
კორესპონდენტები

პ. ა. ჯაფარიძის
დაბადების 110-100
წლისთავისათვის

რევოლუციის რაინდი

საბჭოთა ხელოვნებაზე

ბაკო. (საქინფორმის სპეც. კორ.). მაღლიერ შთამომავლობას მუდამ ეხსომება რევოლუციის რაინდთა ნაღვაწი, იმათი გმირობა, ვისაც მამაცური ომერში მიჰქონდა ძვირფასი სამყაროზე. სიცოცხლეს სწირავდა მომავალი თაობების ბედნიერებას, კომუნიზმის უკვდავი იდეალების გამარჯვებას. ბოლშევიკთა შესანიშნავი ლენინური გვარდიის რიგებს მიეკუთვნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თვალსაჩინო მოღვაწე, ლეგენდარული ბაქოს კომუნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პ. ა. ჯაფარიძე, მისი დაბადების მე-100 წლისთავს მეოძღვნა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგემ ფ. გ. ახმედოვმა.

საქართველოში პ. ა. ჯაფარიძის რევოლუციური გზის დაწყებას, საქართველოს პროლეტარიატთან მის შემდგომ მჭიდრო კავშირურთიერთობას მეოძღვნა თავისი მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვ. ნ. მერკვილაძემ.

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა დ. ბ. ბულეიევმა ილაპარაკა პ. ა. ჯაფარიძის უთვალსაჩინოეს როლზე აზერბაიჯანში რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში, ბაქოს კომუნის ჰეროიკულ ეპოპეაში.

„პ. ა. ჯაფარიძე — პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობისათვის მებრძოლი“ — ასეთი იყო სომხეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის გ. რ. სიმონიანის მოხსენების თემა.

წიგნის თაკრო

გახსოვდეთ იგი...

იაპაკვეშეთის მკაცრ სკოლაში, ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლებში, მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებთან შეტაკებებში ყალიბდებოდა ბოლშევიკის, მშრომელთა ინტერესებისათვის შეუდრეკელი და მამაცი მებრძოლის ალეოშა ჯაფარიძის მტკიცე ხასიათი...

მის ხსოვნას ეძღვნება წიგნი, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა მოამზადა და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ უხდა დაისტამბოს. წიგნის ავტორია ჟურნალისტი მარიკა სილაგაძე. ახალი წიგნი ქარგი საჩუქარი იქნება გამოჩენილი რევოლუციონერის საიუბილეოდ.

რ. რამიშვილი.

«გმირული ცხოვრება»

აზერბაიჯანის ხალხთა მეგობრობის სახელობის სახელმწიფო გამომცემლობა „აზერნეშრმა“ გამოუშვა წიგნი, რომელიც ეძღვნება დიდი რევოლუციონერის პ. ა. ჯაფარიძის დაბადების მე-100 წლისთავს. მოგონებების ეს წიგნი მოამზადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალებმა — აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტებმა.

წიგნში შესულია 37 მოგონება. თითოეული მათგანი თემატური თანამიმდევრობით ასახავს პ. ა. ჯაფარიძის რევოლუციური მოღვაწეობის ძირითად პერიოდებს. აქედან რამდენიმე მოგონება პირველად იბეჭდება.

ვ. ალიევი.

„ჰაიასტანმა“ გამოსცა

„ალიოშა ჯაფარიძე“

ერევანი. (საქინფორმის სპეც. კორ.). კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ვ. ი. ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, ამიერკავკასიის პროლეტარიატის ერთ-ერთი ხელ

ხელოვნების — ამბები

პრემიერით დაინყეს

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

სოხუმის სახელმწიფო ქართული თეატრის ახალი სეზონის გახსნა ქართული თეატრის დღეს დაემთხვა. გუშინ, 14 იანვარს მაყურებელმა ნახა პრემიერა: თ. ჭილაძის „როლი დამწყების მსახიობი გოგონასათვის“.

სპექტაკლი დადგა თეატრის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. კაკულიამ. ახალი სეზონის თაობაზე მან „კომუნისტის“ კორესპონდენტს ი. გობერნიას უთხრა:

— ცნობილია, თუ რა დიდი მზადება აქვთ საბჭოთა ადამიანებს, რათა ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს. ჩვენი თეატრი ამზადებს სპექტაკლს „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი“, რომელიც მაიაკოვსკის ცნობილი პოემის დასაკინოურება იქნება. წარმოდგენაში ჩვენი დასის გარდა მონაწილეობას მიიღებენ პანტომიმის სახელმწიფო თეატრის მსახიობები.

ახალ სეზონში მაყურებელი ნახავს ლევ ტოლსტოის „კაზაკები“ მოთხრობების ინსცენირებას სახელოვნებიდან „ალბალები“, გერმანული დრამატურგიის ფესტივალისათვის, რომელიც წელს უნდა გაიმართოს, თეატრი დადგამს ბ. ბრეჰტის პიესას „დედილო კურაჟი და მისი შვილები“, ვმუშაობთ პიესაზე „ჯარისკაცის წერილები“ (ავტორი ი. კაკულია).

უდავოა, რომ ნორჩი მაყურებელი ინტერესით შეხვდება ცნობილი ფრანგი მწერლის ეგზიუპერის „პატარა უფლისწულის“ დადგმას.

ამ ნაწარმოებების გარდა, რა თქმა უნდა, გავითამაშებთ გასული სეზონის საუკეთესო დადგმებსაც.

ახალ სეზონში თეატრს განზრახული აქვს გასტროლები თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში.

მეგობრობის ნაყოფი

გაკეთილი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცემლობა „აუფბაუ-ფერ ლაგმა“ ბერლინში დასტამბა გერმანელი და ქართველი ლიტერატურათმცოდნეების ერთობლივი კრებული, რომელიც ეძღვნება XX საუკუნის რომანისა და საერთოდ პროზის, უფრო ზუსტად, XX საუკუნეში ეპიკური ჟანრის განვითარების სპეციფიკის კარდინალურ საკითხებს. წიგნის რედაქტორ-გამომცემლები არიან იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი ჰელმუტ ბრანდტი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნოდარ კაკაბაძე.

წინასიტყვაობიდანვე ვიგებთ, რომ წიგნში მოთავსებულ ნაშრომთა კვლევის რადიუსი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია: დოსტოევსკი და XX საუკუნის დასავლური პროზა, თომას მანი, ჰერმან ჰესე, ალფრედ დიბერლინი, ჯეიმზ ჯოისი, უილიამ ფოლკნერი, სოლ ბელოუ, ლიონ ფოიხტვანგერი, ერიხ მარია რემარკი, ანდრია პლატონოვი, მიხეილ შოლოხოვი, ლეონიდ ლეონოვი, ბერტოლდ ბრეჰტი, ანა ზეგერსი, ერვინდ შტრიტმატერი და სხვები.

ზემოთ დასახელებულ რომანისტთა და პროზაიკოსთა შემოქმედების მაგალითზე კრებულის ავტორები იკვლევენ XX საუკუნის პროზის, კერძოდ, რომანის პრინციპულ, თვისებრივად ახალ ტენდენციებსა და ელემენტებს როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე მორფოლოგიურ-სტრუქტურული ასპექტით.

წინამდებარე ნაშრომისაგან ქართველ ავტორთა ნაწილი მოიცავს შემდეგ გამოკვლევებს: ნოდარ კაკაბაძე — „თომას მანის რომანების ძირითად თავისებურებათა დადგენის ცდა“; რეზო ყარალაშვილი — „მკითხველი, როგორც ჭერმან ჰესეს რომანების ეპიკური სამყაროს სტრუქტურული ელემენტი“, მისივე — „მსოფლაღქმა და სამყაროს წარმოსახვა ერვინ შტრიტმატერის რომანში „სასწაულმოქმედი“ (წიგნი მეორე); გივი მარგველაშვილი — „სიუჟეტური სამყაროს ძირითადი კატეგორიები და მათი ერთმანეთთან დაუკავშირებლობა თანამედროვე რომანის სტრუქტურებში“; ნიკო ყიასაშვილი — „ნესტორის“ ეპიზოდი როგორც „ულისეს“ პარადიგმა“; ციალა თოფურიძე — „უილიამ ფოლკნერის რომანი „აბესალომ, აბესალომ!“ სტრუქტურული აღნაგობა“.

ნ. კაკაბაძე თავის გამოკვლევაში ცდილობს დაადგინოს თომას მანის რომანების ეპიკურულ-მორფოლოგიური სპეციფიკა. მისი აზრით თ. მანის რომანს შუალედური ადგილი უჭირავს XIX საუკუნის კლასიკურ-რეალისტურ რომანისტიკასა და XX საუკუნის ექსპერიმენტულ პროზას შორის. თ. მანი ნაწილობრივ ინახავს, ინარჩუნებს ტრადიციული პროზის სტრუქტურებს, მეორე მხრივ კი, ნაწილობრივ არღვევს, „აფეთქებს“ ძველ ეპიკურ ფორმებს. მაგრამ თ. მანის მოწოფილ შემოქმედებაში წამყვანი, არსებითი მაინც ბიბლიურ-შილერულ-დოსტოევსკური ტენდენციაა, ე. ი. „სანტიმენტალური“ საწყისი (შილერის კლასიფიკაციით). თ. მანის რომანები („ჯადოსნური მთა“, „დოქტორი ფაუსტუსი“) თვისებრივი, რადიკალური გადახვევაა მიმეტური (ემპირიული) რეალიზმისაგან. ეს უკვე ანტიმეტიური, სიმბოლურ-ფილოსოფიური რეალიზმია, რომელიც სავალდებულოდ არ მიიჩნევს განსახიერებული, გამოსახული საგნის გარეგნულ, შიშველ, ცალმხრივ მსგავსებას რეალურად, ობიექტურად არსებულ სინამდვილესთან, მოვლენასთან.

რ. ყარალაშვილის ნაშრომის კვლევის ობიექტია ჰერმან ჰესეს პროზის სტრუქტურული აღნაგობა და მისი მიმართება ადრესატისადმი. ავტორი დაწვრილებით განიხილავს ჰესეს რომანის პრესკრიპციულ ელემენტებს, რომლებიც განაპირობებს მკითხველის მიერ ნაწარმოების აღქმის თავისებურებას. ასეთი მკითხველის ცნობიერებისა და ფანტაზიის წარმმართველ ელემენტებად მიჩნეულია მთხრობელის კომენტარი, დიალოგი და „ტრაქტატი“ (ნაწარმოებში ჩართული ვრცელი ესეს ჰესესებური მოდიფიკაცია). მკითხველის ამოცანაა აღნიშნულ პრესკრიპციულ ელემენტებზე დაყრდნობით რომანის წამყვანი სიმბოლოს („ტრამალის მგლის“, „გლასპერენშპილის“ და ა. შ.), ამოცნობა და დაკონკრეტება. ამრიგად, ჰესეს ნაწარმოებთა სტრუქტურული აღნაგობა გულისხმობს ტექსტისადმი დიალექტიკურ მიდგომას: ერთი მხრივ, მკითხველს მოეთხოვება თავისი წარმოსახვა ავტორის მიერ შემოთავაზებულ ხატებსა და მის კომენტარს დაუკავშიროს, მეორე მხრივ კი, მან უნდა გამოამჟღავნოს ტექსტისადმი აქტიური დამოკიდებულებისა და მისი თავისუფალი ინტერპრეტაციის უნარი.

რ. ყარალაშვილის მეორე ნაშრომში განხილულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მწერლის ერვინ შტრიტმატერის რომანის „სასწაულმოქმედის“ მეორე წიგნი.

გ. მარგველაშვილის ნაშრომში ნაჩვენებია, რომ თანამედროვე რომანში განხილულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო მწერლის ერვინ შტრიტმატერის რომანის „სასწაულმოქმედის“ მეორე წიგნი.

ეს მოკრძალებული, კდემამოსილი ქალი უყვარს, თაყვანისცემამდე ამაღლებული სიყვარულით უყვარს ხალხს. მეც ამავე გრძნობით განვიმსჭვალე მისდამი.

...წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვრის მეორე საშუალო სკოლის დირექტორი პისტი ფიფია ადგილზე არ დავგხვდი.

— სად ბრძანდება?

— ენგურჰესის მშენებლობაზე გახლავთ.

— იქ რა უნდა?

— რაიმეს წაართმევს ალბათ სკოლისათვის.

ამ სიტყვებზე ჩემთვის უცნობი ქალი წარმომიდგა ისეთ ადამიანად, რომელიც სულ გაწამაწაია, სულ გაჰყვირის, სულ „თავისი“ დაწესებულებისაკენ მიეთლის...

თურმე ვცდები. სკოლისათვის ამ თავდადებულ მზრუნველს არც ერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს ხმამაღლა.

— ის კი არა, წარმოიდგინეთ, მორცხვიც არის, — ამბობს სკოლის გარეშე მუშაობის ორგანიზატორი ლეილა ფიფია.

ლეილა განაგრძობს დირექტორის დახასიათებას, ის მაინც არ ჩანს ჯერ და ლაპარაკი აღვილდება.

—ძველი დრო რომ იყოს პისტი ფიფიას წმინდანად შერაცხავდნენ, — გვითხრა ლეილამ,— —ისეთი სპეტაკია, ისეთი კეთილია, რომ ადამიანთა განათლებისათვის მოვლენილ წმინდანად ჩათვლიდა ხალხი.

სულგანაბული ვუსმენ ლეილას:

— როცა ვინმეს ქალიშვილი შეეძინება ჯვრელი ასე ლოცავს: ყოფილიყავი პისტი ფიფიასავით ცამდე მართალი და კაცთმოყვარე.

კიდევ ერთი დეტალი გავაცნო დირექტორის მოადგილემ:

პისტი არ კეტავსო თავის სახლს. ბავშვებს გადაატრიალებს, მაგრამ შიგ ტოვებსო.

— რა აზრი აქვს გადატრიალებას, თუ გასაღები...

— რომ პირუტყვი არ შევიდეს, მეტი არაფერი. ადამიანის ხელი კი ავად არ გაეკარება მის კარ-მიდამოს.

მობრძანდა პისტი. ენგურჰესზე კი არა, ჩაის ფაბრიკაში ყოფილა.

არდადეგების დღეებში ჯვრელ მოსწავლეებს ნახავთ როგორც საკლასგარეშო მინდვრებზე, ისე ჩაის ფაბრიკაში...

დირექტორი ამოწმებს, რომელი ბავშვი რას და როგორ აკეთებს.

შემდეგ შეფებზე ჩამოვარდა ლაპარაკი.

პისტიმ გვითხრა: რამდენიმე მზრუნველი ჰყავს ჩვენს სკოლას, მათ შორის პირველია წალენჯიხის სატყეო მრეწველობის დირექტორი ნიკოლოზ აფაქიძე, აგრეთვე საშა გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარეა შოთა მანია. რაც შეეხება სადაო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ვლადიმერ ქასკოლაში, — თქვა დირექტორმა.

— როგორია აკადემიური მაჩვენებლები?

— ვიბრძვით უმაღლესი მაჩვენებლებისათვის.

— ალბათ ცალკეულ კლასებში ცალკეული საგნებში...

— არა, მთელ სკოლაში, ყველა საგანში.

— ულიბერალიზმოდ?

— რა თქმა უნდა. ჩვენთან ნიშანი კუთვნილებისამებრ იწერება. გამოკვდებზე არ მოდიან მშობლები. გვენდობიან. როგორც მოგახსენეთ, მცირეა კონტინგენტი და ესეც გვიწყობს ხელს. ვასწერებთ ყველა ბავშვის შემოწმებას, ვეხმარებით კონსულტაციით...

— შარშან რამდენმა დაამთავრა სკოლა?

მასწავლებელი

ნარკვევი

ნარკვევი

ეს ოჯახი ... ...